

კონსტიტუციის პლურალური ვიზიონით გადასინჯვა და კონსტიტუციური ნაწყოების ლეგიტიმაცია

სოფიო დემეტრაშვილი

სამართლის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ვახტანგ ჟვანია

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

*მსოფლიოში არსებობს დემოკრატიული კონსტიტუციები, მიღებული
არადემოკრატიული გზით, მაგრამ არ არსებობს დემოკრატიული
გზით მიღებული არცერთი ავტორიტარული კონსტიტუცია!*

ჯონ ელსტერი¹

რეზიუმე. მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს, რომ სახელმწიფო, რომელიც მიჯნავს გადასინჯვის ფორმებს, ადგენს შესაბამისი გადასინჯვის განსხვავებულ პროცედურებს. კონსტიტუციის გადასინჯვა გრანდიოზული ამოცანაა, მისი მამოძრავებელი ძალა კი ძირითადად პოლიტიკური დღის წესრიგია. თავის მხრივ, კონსტიტუციის უზენაესობა და სავალდებულობა არ საჭიროებს პოლიტიკურ-მორალურ გამართლებას. საკონსტიტუციო ცვლილებების ლეგიტიმურობის საზომი არ არის ის, მიიღო თუ არა კონსტიტუციური ცვლილებები/ახალი კონსტიტუცია დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე ორგანომ, არამედ უშუალოდ პროცესი ღია იყო თუ არა ყველა დაინტერესებულ პირისთვის, თუ იყო მიმართული კონსესუსის მიღწევისკენ და ა.შ. კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო საქართველოს

1. *Elster J., Ways of Constitution-making in: Democracy's Victory and Crisis, ed. Axel Hadenius, Cambridge University Press, 1997, 125.*

კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმებზე მსჯელობისას. საინტერესო და ფართომასშტაბიან სიახლეს წარმოადგენდა ქართულ კონსტიტუციონალიზმში 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებული კონსტიტუციის გადასინჯვის ახალი ფორმა. დემოკრატიულ ტრანსფერზე მყოფი სახელმწიფო მუდმივად განიცდის ერთგვარ გარდაქმნას, ტრანსფორმაციას, შესაბამისად, სახელმწიფოს უზენაესი კანონი ფებს უნდა უწყობდეს თანამედროვე ტენდენციებს, უნდა იყოს დინამიურობის ინსპირატორიც, თუმცა, ამავდროულად, კონსტიტუცია უნდა იყოს „მუდმივობის გარანტი“. სწორედ აღნიშნული საკითხების ანალიზს ეძღვნება წინამდებარე კვლევა.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუცია, დელიბერაცია, ლეგიტიმაცია

შესავალი

სამართლის ყველა დარგი, მათ შორის კონსტიტუციური სამართალი, გარკვეული წესით სპეციფიკური შინაარსის სამართლებრივი ნორმების სისტემატიზებული ერთობლიობაა. კონსტიტუციური სამართლის ნორმებს გააჩნია დამფუძნებელი თვისებები. მსოფლიოში გავრცელებული სამართალშემოქმედებითი პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუცია, ფორმალურ-იურიდიული გაგებით, მთლიანობაში ერთი პოლიტიკურ-იურიდიული ნაწარმოებია². ტრადიციულად, კონსტიტუცია სამი ნაწილისგან შედგება: პრეამბულა, ძირითადი და გარდამავალი დებულებები³.

სახელმწიფოს უზენაესი კანონის გადასინჯვის მექანიზმი წარმოადგენს ერთგვარ გასაღებს, რომლითაც იხსნება კონსტიტუცია. ამასთან, კონსტიტუციის გადასინჯვის პერიოდულობა ვერ იქნება მიჩნეული ქვეყნის უზენაესი კანონის ლეგიტიმურობის საზომად. „ისინი, ვინც კონსტიტუციას წერენ შექმნის პროცესში მყოფი დემოკრატიებისთვის, ბევრ პრობლემას აწყდებიან“⁴. ლეგიტიმურობის მისაღწევად კი კონსტიტუციის მიღებისა და მისი გადასინჯვის პროცედურები არსებითად მიმართულია კონსესუსის ფორმირებისკენ. თუმცა, ერთი მხრივ, კონსტიტუციის მიღება და, მეორე მხრივ, ლეგიტიმურობის მიღწევა იმდენად რთული საკითხებია, რომ თავად მაქს ვებერი ამბობდა, უარი გვეთქვა „ლეგიტიმურობის“ ცნებაზე, მაგრამ კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკა a priori ვებერის საპირისპიროდ მეტყველებს⁵.

2. ავტორთა კოლექტივი, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, 72.
3. იბ., იქვე.
4. შვარცი ჰ., კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №1, 2009, 7.
5. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2003, 44.

საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებს გამომარჩევს თვითმყოფადი ბუნება, რომლითაც ისინი მეტად ინდივიდუალურნი არიან. ზოგადად, კონსტიტუციის გადასინჯვის ან ახლის მიღების საჭიროება სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. მაგალითად, კონსტიტუციურ ქრონიკებს თუ გადავხედავთ, ძველის გაუქმება და ახლის მიღება საჭირო ხდება რევოლუციებისა და განსაკუთრებული საზოგადოებრივი ძვრების ფონზე, ასევე, ახალი სახელმწიფოს გაჩენის შემთხვევაში და სხვ. ამასთან, როგორც წესი, საკონსტიტუციო რეფორმის მიზანი თავად კონსტიტუციაში არის დაფიქსირებული.

1. დელიბერაცია როგორც ლეგიტიმაციის პარადიგმა

„თუ არსებობს საყოველთაო სოციალური და პოლიტიკური კონსენსუსი, კონსტიტუციის შესწორების ტექნიკური მხარე არ წარმოადგენს რეალურ დაბრკოლებას“⁶. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლეგიტიმაციის ერთ-ერთი წყარო დელიბერაციაა. ბედნარდ მანინი ნაშრომში „ლეგიტიმაციისა და პოლიტიკური დელიბერაციის შესახებ“ განმარტავს, რომ „საჭიროა რადიკალურად შეიცვალოს როგორც ლიბერალური, ისე დემოკრატიული აზროვნებისათვის დამახასიათებელი პერსპექტივები. ლეგიტიმურობის წყარო არის არა ადამიანების წინასწარ განსაზღვრული ნება, არამედ, უფრო მეტად, ლეგიტიმური გადაწყვეტილების შემუშავების პროცესი, კერძოდ, მსჯელობა და დისკუსია. ლეგიტიმური გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ყველა ადამიანის ნებას, მაგრამ იგი არის საყოველთაო დისკუსიის შედეგი, რომელში მონაწილეობის უფლებაც ყველა მოქალაქეს აქვს. ყველა ადამიანის ნების ჩამოყალიბების პროცესი არის ის, რისგანაც ლეგიტიმურობის შედეგი გამომდინარეობს და ეს არ არის წინასწარ ჩამოყალიბებული სხვადასხვა ნების უბრალოდ ერთად შეკრება. არამედ, მსჯელობის პრინციპი ერთდროულად ინდივიდუალისტურიცაა და დემოკრატიულიც... ლეგიტიმური კანონი არის საყოველთაო მსჯელობის შედეგ და არა საერთო ნების გამოხატულება“⁷. ანდრეშ შაიო კი ამბობს, რომ საჭიროა მოხდეს ნდობის ინსტიტუციონალიზაცია, რადგან „ხელისუფლების განხორციელება დამოკიდებულია ნდობაზე, გადამდებ ნდობაზე“⁸. შესაბამისად, საკონსტიტუციო რეფორმის დროს მთავარია მოიძებნოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური ხერხები, ვინაიდან მთავარია პროცესის მიმართ ნდობა, რაც საბოლოო პროდუქტის მიმართ

6. *Sajo A.*, *Limiting Government, An introduction to Constitutionalism*, Foreword by *Stephen Holmes*, Central European University Press, 1999, 50.

7. *Manin B.*, *On Legitimacy and Political Deliberation*, Institute for Advanced Study (Pinceton), Translated from the French by Elly Stein and Jane Mansbridge, Sage Journals, Volume 15, Issue 3, 2016, ob., <https://bit.ly/3QBTUos> [13.01.2023].

8. *Sajo A.*, *Limiting Government, An introduction to Constitutionalism*, Foreword by *Stephen Holmes*, Central European University Press, 1999, 72.



ნდობის პირდაპირპროპორციულია⁹. ამასთან, კონსტიტუციის მიღების პროცესში მნიშვნელოვანია ორი საკითხი: რამდენად დემოკრატიულია კონსტიტუციის შემუშავება/მიღება/გადასინჯვის პროცედურა და რამდენად ეფუძნება ეს უკანასკნელი ფართო და სრულფასოვან მსჯელობას, ვინაიდან კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს დემოკრატიული, უნდა უზრუნველყოფდეს მდგრადი და ეფექტური მმართველობის არსებობას.

კონსტიტუციის უზენაესობა და სავალდებულოობა არ საჭიროებს პოლიტიკურ-მორალურ გამართლებას. კონსტიტუციის ლეგიტიმურობა ან ნაგულისხმევი დაშვება¹⁰ ან დაკავშირებულია გარე ლეგიტიმაციის შემთხვევით წყაროსთან, რომელიც შესაძლოა სრულად განსაზღვრავდეს კონსტიტუციის შინაარსს, თუმცა მისი არსებობა არ არის კონსტიტუციის სავალდებულო ძალის აუცილებელი პირობა¹¹. თანამედროვე ლიტერატურა კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ ძირითადად წესრიგის დუალისტურ სტრუქტურაზე ორიენტირებული და გადასინჯვის პროცესის ლეგიტიმურობაზე ამახვილებს ყურადღებას¹². ამასთან, კონსტიტუციის ცვლილებების პროცესის ლეგიტიმურობის საზომი არ არის მხოლოდ ის, მიიღო თუ არა კონსტიტუციური ცვლილებები/ახალი კონსტიტუცია დემოკრატიული ლეგიტიმაციის მექანეზმით, არამედ, უშუალოდ პროცესი იყო თუ არა ღია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და მიმართული იყო თუ არა კონსესუსის მიღწევისკენ და ა.შ¹³. მედისონისა და ჰამილტონის აზრით, საკანონმდებლო ორგანო, მისი ფუნქციის მნიშვნელობის, ხალხთან სიახლოვისა და დიდი დემოკრატიული ლეგიტიმურობის გამო ყველაზე ძლიერი და, შესაბამისად, ყველაზე საშიში იყო. შესაბამისად, არსებობდა მისი უფლებამოსილების შეზღუდვის ლეგიტიმური გონივრულობა, რისთვისაც მედისონი სენატის შემოღებას უჭერდა მხარს. სენატი კი იმ ორგანოს წარმოადგენს, რომელსაც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების წარმავალი ვნებების მოთოკვა შეეძლო¹⁴.

9. *მენაბდე ვ.*, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უზრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 119.

10. *Kelsen H.*, Introduction to the Problems of Legal Theory: A Translation of the First Edition of the *Reine Rechtslehre* or *Pure Theory of Law*, 1992, 59-62.

11. *ზედელაშვილი დ.*, კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობების ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 143.

12. *Elster J.*, Forces and Mechanisms in the Constitution-Making Process, *Duke Law Journal*, Vol. 45, N2, 1995, 364-396.

13. *ზედელაშვილი დ.*, კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობების ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 155.

14. იბ., იქვე, 159.

2. კონსტიტუციის პლურალური ვოტუმით გადასინჯვა

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებსა და საზოგადოებაში, რომლებსაც საბჭოური გამოცდილება და ტოტალიტარული პერიოდი ფაქტობრივად უნარ-ჩვევების დონეზე აქვთ შესისხლხორცებული, პრობლემების თაობაზე წარმოდგენა ხშირად ერთფეროვან ხასიათს იძენს, ვინაიდან სოციალური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი პრობლემის წყარო ევლინებათ კონსტიტუცია და კონსტიტუციის ტექსტი და არა უშუალოდ ის ადამიანები, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მისი პრაქტიკაში აღსრულება¹⁵. შესაბამისად, მაშინ, როდესაც კონსტიტუცია ფიქტიურია, არსებობს უფსკრული კონსტიტუციის ტექსტსა და ყოველდღიურ ცხოვრებას შორის და მასში გათვალისწინებული ფასეულობები და ნორმატივები სხვა რეალობისთვისაა¹⁶ განკუთვნილი. ყოველივე ეს გადაჭარბებულ მოლოდინსა და შემდგომ იმედგაცრუებას უჩენს მოსახლეობას და პოლიტიკურ მოთამაშეებს და შესაძლოა უზიდავოს მათ კონსტიტუციის გადასინჯვისაკენ¹⁷. კონსტიტუცია უნდა იყოს ქმედითი და არ უნდა დაემსგავსოს წვიმიან ამინდში სახლში დარჩენილ ქოლგას.

„კონსტიტუცია სახელმწიფოს ფუნდამენტური ქარტიაა, რომელიც ყველა სამართლებრივ ნორმაზე მაღლა დგას. ისევე როგორც კონსტიტუციური კანონი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ კონსტიტუციურ კანონს კონსტიტუციის გვერდით ერთ სტრიქონში მოიხსენიებს, რაც პირველ რიგში მათ თანაბარ მნიშვნელობაზე და იურიდიულ ძალაზე მეტყველებს¹⁸. იმავდროულად კონსტიტუცია¹⁹ კონსტიტუციური კანონით მოსაგვარებელ საკითხს იმპერატიული ფორმით საქართველოს ტერიტორიული მოწყობის გადასინჯვას უკავშირებს. საქართველოს კონსტიტუციურ კანონსა და სახელმწიფოში მოქმედი საკანონმდებლო ორგანოში მიღებული სხვა ნორმების იერარქიული დიფერენცირება ყველაზე უკეთ სწორედ გადასინჯვის დროს იჩენს თავს, რომლითაც განისაზღვრება კონსტიტუცია „მოქნილია“ თუ „ხისტი“²⁰. მთლად მოქნილი, რბილია მხოლოდ დაუწერელი ფორმის კონსტიტუცია, ყოველი ახალი კონსტიტუციური მნიშვნელობის წყა-

15. გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის იდეაფიქსები, ანუ როცა „ცვლილების ქარი“ უბერავს, *ავთანდილ დემეტრაშვილი* 75, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2017, 108.

16. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკისათვის, სამოქალაქო საზოგადოებისთვის, სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის განსხვავებული დონისთვის.

17. *დემეტრაშვილი ა.*, დემეტრაშვილი ს., კონსტიტუციური სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 37.

18. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 09/11/2009, მუხლი 7, პუნქტი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

19. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, მუხლი 7, პუნქტი 3.

20. *პაეტე პ.*, *მელენ-სუკრამანიანი გ.*, კონსტიტუციური სამართალი, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, 107.

როს გაჩენა ავითარებს ამგვარ კონსტიტუციას. წერილობითი სისტემატიზებული კონსტიტუციის გადასინჯვა უფრო რთულია. ხოლო ჰანს კელზენისთვის ვაიმარის რესპუბლიკის კონსტიტუციური წესრიგი ექსკლუზიურად წერილობით კონსტიტუციასთან იგივედებოდა²¹. უფრო მეტიც, ზოგიერთ კონსტიტუციაში არის ე.წ. „ხელშეუხებელი ნორმები, უცვლელი, მუდმივი დებულებები“²², რომელთა გადასინჯვა საერთოდ დაუშვებელია. მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 114-ე მუხლი ადგენს: „არ ექვემდებარება გადასინჯვას კონსტიტუციის 1-ლი,²³ მე-2²⁴ და 114-ე მუხლები²⁵. აგრეთვე, საინტერესოა საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის 79-ე მუხლი, რომელიც ადგენს – „მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმა გადასინჯვას არ ექვემდებარება“²⁶. რაც შეეხება საქართველოს, კონსტიტუციური რეფორმის არცერთი „ტალღა“ არ შეხებია კონსტიტუციის ნორმების მუდმივობის და კონსტიტუციის შიდა იერარქიის საკითხს²⁷. ზოგადად, საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, ყოველთვის არსებობს დილემა როგორ და რა ფორმით არის შესაძლებელი კონსტიტუციის ნორმებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე არაერთხელ დამდგარა, მაგრამ სასამართლოს თავისი კომპეტენცია არ დაუქვემდებარებია კონსტიტუციის ნორმაზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებით²⁸. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო ცვლილებების საკონსტიტუციო კონტროლი მიიჩნევა ძალაუფლების ვერტიკალურ განცალკევებად, რაც გულისხმობს, რომ შესწორების განმახორციელებელმა ორგანომ უნდა იმოქმედოს მისი უფლებამოსილების ფარგლებში, მაგრამ ეს უკანასკნელი ასევე მო-

21. *Kelsen H.*, Introduction to the Problems of Legal Theory: A Translation of the First Edition of the *Reine Rechtslehre* or Pure Theory of Law, Translated by Bonnie Litschewski Paulson and Stanley L. Paulson, Oxford University Press, 1992, 55-71.
22. *დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს.*, კონსტიტუციური სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 37.
23. მუხლი 1: „სომხეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფო“.
24. მუხლი 2: „სომხეთის რესპუბლიკაში ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. თავის ხელისუფლებას ხალხი ახორციელებს თავისუფალი არჩევნების, რეფერენდუმის მეშვეობით, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ორგანოებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და თანამდებობის პირების მეშვეობით“.
25. ავტორთა კოლექტივი, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, 71.
26. თითქმის იმავე რედაქციით ასეთი აკრძალვა დადგენილია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით.
27. *ლუაშვილი გ.*, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018, 90.
28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეების ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინაშე“. იხ., აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის №2/2/486 განჩინება საქმეზე, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და სხვ.

ითხოვს შესაბამის მექანიზმს, რომ დადგინდეს ცვლილებების მიღებისას ხომ არ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას შესწორების განმახორციელებელმა ორგანომ²⁹. ზოგადად, კონსტიტუციის გადასინჯვის საკონსტიტუციო კონტროლის ორი ფორმა არსებობს: ფორმალური და შინაარსობრივი. ფორმალური გადასინჯვა მოიაზრებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის შემოწმებას, ხოლო კონსტიტუციის შინაარსობრივი გადასინჯვა მოიცავს შესაბამისობის დადგენას. ამასთან, ფორმალური შესაბამისობის დადგენა, როგორც წესი, კონსტიტუციის გადასინჯვის სავალდებულო კომპონენტია, ხოლო შინაარსობრივი წარმოადგენს ფაკულტატურულს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მაშინ დაიწყება, თუ სპეციალურმა სუბიექტმა სადავოდ გახადა კონსტიტუციის ცვლილების კონკრეტული დებულება³⁰.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში კონსტიტუციის გადასინჯვაში მონაწილეობს პარლამენტი. ზოგან ამისათვის საკმარისია მხოლოდ მისი საბოლოო გადაწყვეტილების მიღება³¹, ზოგან იგი დამფუძნებელი ორგანოს სახეს იძენს (აშშ-ში – კონვენტი), ზოგან მისი გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და უნდა დამტკიცდეს რეფერენდუმზე (რუმინეთი, ლატვია), ყაზახეთში პრეზიდენტს შეუძლია გადასინჯვის პროექტი ან რეფერენდუმზე გაიტანოს ან მისაღებად პარლამენტს გადასცეს³². ლუქსემბურგსა³³ და ნიდერლანდებში³⁴ კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამ ქვეყნების პარლამენტები უნდა დაიშალოს, ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და წინა პარლამენტის მიერ გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილება კვალიფიციური უმრავლესობით უნდა დაამტკიცოს ახალარჩეულმა პარლამენტმა. კონსტიტუციის პლურალური ვოტუმით გადასინჯვის პრაქტიკა მეტწილად სკანდინავიის, ბენელუქსისა და სხვა ევროპულ ქვეყნებში მოქმედებს. ზოგიერთ ქვეყანაში, ერთი მოწვევის პარლამენტის მიერ კონსტიტუციის დამტკიცებისთვის სხვადასხვა კვორუმი არის დადგენილი³⁵, ხოლო კვალიფიციური უმრავლესობით არ გადასინჯება მხოლოდ ე.წ. „დაუწერელი კონსტიტუციები, რომელთა შემადგენელი აქტების ცვლილება სტანდარტულ უმრავლესობას საჭიროებს³⁶. რაც შეეხება ორპალატიან პარლამენტს, აღნიშნულ სისტემებში კონსტიტუცია პარლამენტის ორივე პალა-

29. ლუაშვილი გ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018, 95.

30. იბ., იქვე, 97.

31. საბერძნეთის კონსტიტუცია, 09/06.1975, მუხლი 110, იბ., <https://bit.ly/3iD1XoF> [17.01.2023].

32. დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., კონსტიტუციური სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 38.

33. ლუქსემბურგის კონსტიტუცია, 17/10/1868, მუხლი 114, იბ., <https://bit.ly/3XD5rpI> [17.01.2023].

34. ნიდერლანდების კონსტიტუცია, 24/08/1815, მუხლი 137, იბ., <https://bit.ly/3COQ1XF> [17.01.2023].

35. მაგალითად, 4/5 უმრავლესობა ესტონეთში, 2/3 გერმანიაში და სხვ.

36. კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა, თბილისი, 2019, 289.



ტის მხარდაჭერით გადაისინჯება. ამასთან, საინტერესოა, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში კონსტიტუციის გადასინჯვა შესაბამისი კანონპროექტის რეფერენდუმზე დამტკიცებას საჭიროებს³⁷. თუმცა არსებობს კონსტიტუციის გადასინჯვის სახელმწიფოთა პრაქტიკა³⁸, სადაც რეფერენდუმის ჩატარება კონსტიტუციის სრულად გადასინჯვისთვის არის სავალდებულო³⁹.

საქართველოს აქვს მყარი კონსტიტუცია და მისი გადასინჯვა რთულ პროცედურასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად, კონსტიტუცია გადაისინჯება კონსტიტუციური კანონით, რომლის წარდგენის უფლება აქვს:

ა) პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს – კანონპროექტის ინიციატორია არა პარლამენტის, როგორც კონსტიტუციური ორგანოს, არამედ პარლამენტის წევრთა ერთობლიობა⁴⁰;

ბ) 200 000 ამომრჩეველს – კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის⁴¹. ასევე, პარლამენტი ქმნის სპეციალურ საორგანიზაციო კომისიას, რომელიც გეგმავს საყოველთაო-სახალხო განხილვას, მართავს შეხვედრებს მოსახლეობასთან და განიხილავს კანონპროექტთან დაკავშირებულ მასალებს, პარლამენტში შესულ შენიშვნებსა და წინადადებებს კანონპროექტთან მიმართებით. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდგომ. კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვის დაწყებისას, საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია პარლამენტს აცნობებს განხილვის შედეგებს. პლენარულ სხდომაზე კანონპროექტი განიხილება სამი მოსმენით, ამასთან, შესაძლებელია კონსტიტუციური კანონპროექტის დაჩქარებული ან გამარტივებული წესით განხილვაც⁴². ჩვეულებრივ, საქართველოს კონსტიტუცია გადაისინჯება პლურალური, ორმაგი ვოტუმით. შესაბამისად, კონსტიტუციური კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 უმრავლესობით ზედიზედ ორი მოწვევის პარლამენტი მხარს დაუჭირს, ხოლო მომდევნო მოწვევის პარლამენტს შეუძლია რომ უცვლელი სახით დაუჭიროს ამ უკანასკნელს მხარი. რაც შეეხება ერთი მოწვევის პარლამენტის მიერ კონსტიტუციის გადასინჯვას, აღნიშნული განხორციელება მხოლოდ იმ

37. იხ., იქვე.

38. მაგალითად, რუსეთი, ესპანეთი და სხვ.

39. *კობახიძე ი.*, კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა, თბილისი, 2019, 290.

40. სახელმწიფოთა უმრავლესობაში კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში არსებითი დატვირთვა პარლამენტზე მოდის.

41. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, მუხლი 77.

42. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 117 და 118.

შემთხვევაში, თუ კანონპროექტს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ $\frac{3}{4}$ დაუჭერს მხარს⁴³.

შედეგად, კონსტიტუციურ კანონს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წესით ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი. თუმცა არ უნდა დაგავიწყდეს, რომ პრეზიდენტი სარგებლობს ვეტოს უფლებით, რა დროსაც სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია გამოიყენოს მისი ექსკლუზიური უფლება და ვეტო დაადოს $\frac{3}{4}$ -ის უმრავლესობით მიღებულ კონსტიტუციურ კანონს, ხოლო კონსტიტუციური კანონი, რომელიც ორი მოწვევის პარლამენტის მიერ დამტკიცდა, აგრეთვე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ კანონს, საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტისთვის შენიშვნებით დაბრუნების უფლების გარეშე⁴⁴.

უდავოა, რომ 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურა გართულდა, რაც პროპორციულად გამართლებულია შემდეგი ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ, კონსტიტუციის სიმყარემ სამართლებრივი სახელმწიფოს და ხელისუფლების თვითშეზღუდვის პრინციპების, ასევე, ადამიანის ძირითადი უფლებების სათანადო რეალიზაცია და დაცვა უნდა უზრუნველყოს, აგრეთვე, ცალსახაა, რომ სტაბილური კონსტიტუცია ქმნის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების მყარ გარანტიებს. ამასთან, მხოლოდ და მხოლოდ მყარი კონსტიტუციის პირობებში არის შესაძლებელი კონსტიტუციის როგორც იურიდიული, ასევე პოლიტიკური და იდეოლოგიური ფუნქციების სათანადო რეალიზება, ისევე როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. თავის მხრივ კი, სტაბილური კონსტიტუცია კონსტიტუციური წესწყობილების ლეგიტიმაციის გამყარებას და საკონსტიტუციო კულტურის განვითარებას უწყობს ხელს⁴⁵.

მნიშვნელოვანია აგრეთვე კონსტიტუციის გადასინჯვის ვადები, რომლის არსებობა, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს კონსტიტუციის გადასინჯვის გონივრული ზღვრული ვადის დათქმას და, მეორე მხრივ, კონსტიტუციის გადასინჯვაში საყოველთაო ჩართულობის შესაძლებლობას⁴⁶.

43. გამონაკლისს წარმოადგენს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული კონსტიტუციური კანონპროექტი, რომელიც მიიღება ერთი მოწვევის პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ $\frac{2}{3}$ -ის უმრავლესობით. აგრეთვე, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, კონსტიტუციური კანონის პროექტის განხილვა ჩერდება ამ მდგომარეობის გაუქმებამდე.

44. *კობახიძე ი.*, კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა, თბილისი, 2019, 290.

45. იხ., იქვე, 291.

46. *ლუაშვილი გ.*, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018, 101.

საინტერესოა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, „საკანონმდებლო წინადადება არის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების არმქონე სუბიექტის მიერ პარლამენტისათვის წარდგენილი, დადგენილი წესით გაფორმებული, დასაბუთებული მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“⁴⁷. ამავე მუხლის მეცხრე პუნქტის შესაბამისად, „საკანონმდებლო წინადადების მიღების შემთხვევაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტად ითვლება წამყვანი კომიტეტი“, ხოლო კონსტიტუციის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციის კანონის ინიციატივის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას და არანაკლებ 200000 ამომრჩეველს⁴⁸. პარლამენტის წამყვანი კომიტეტი საკანონმდებლო წინადადებას ვერ გარდაქმნის საკანონმდებლო ინიციატივად, თუ საკანონმდებლო წინადადება შეეხება კონსტიტუციის გადასინჯვას, რადგან თავად კომიტეტიც არ არის კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატორი სუბიექტი⁴⁹.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, „კონსტიტუციური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიასთან ერთად დებულებები კვალიფიციურ პროცედურაზე კონსტიტუციის ცვლილებებთან დაკავშირებით, მიზნად ისახავს ფართო კონსესუსის უზრუნველყოფას, ისევე როგორც კონსტიტუციის ლეგიტიმურობას და მისი მეშვეობით ზოგადად პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას“⁵⁰.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებს გამოარჩევს თვითმყოფადი ბუნება, რომლითაც ისინი მეტად ინდივიდუალურნი არიან. კონსტიტუცია სახელმწიფოს ფუნდამენტური ქარტიაა, რომელიც ყველა სამართლებრივ ნორმაზე მაღლა დგას. ისევე როგორც კონსტიტუციური კანონი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. კონსტიტუციის უზენაესობა და სავალდებულოობა არ საჭიროებს პოლიტიკურ-მორალურ გამართლებას. ამასთან, თუ არსებობს საყოველთაო სოციალური და პოლიტიკური კონსესუსი, კონსტიტუციის შესწორების ტექნიკური მხარე არ წარმოადგენს რეალურ დაბრკოლებას. ზოგადად, კონსტიტუციის ცვლილებების პროცესის ლეგიტიმურობის საზომი არ არის მხო-

47. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 150, პუნქტი 1.

48. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, მუხლი 77.

49. ლუაშვილი გ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018, 107.

50. ვენეციის კომისია, დასკვნა კონსტიტუციის გადასინჯვაზე, სტრასბურგი, 2009 წლის 4 დეკემბერი, 2009, 168.

ლოდ ის, მიიღო თუ არა კონსტიტუციური ცვლილებები/ახალი კონსტიტუცია დემოკრატიული ლეგიტიმაციის მქონე ორგანომ, არამედ, უშუალოდ პროცესი იყო თუ არა ღია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და მიმართული იყო თუ არა კონსესუსის მიღწევისკენ და ა.შ.

კონსტიტუციის პლურალური ვოტუმით გადასინჯვის უპირატესობა ორ ფაქტორში გამოიხატება, კერძოდ, მაღალი ლეგიტიმაცია, რაც მის კვაზირეფერენდალურ ხასიათში გამოიხატება და ცვლილებების განხორციელება მწვავე აუცილებლობის შემთხვევაში. პლურალური ვოტუმი არის ის სახესხვაობა, რომელიც ცვლილებებს შორის არჩევნების ჩატარებას მოიაზრებს. თავის მხრივ, გადაწყვეტილების მიღების მაღალი კვორუმი დაკავშირებულია უმცირეობის ინტერესების დაცვასთან. ცხადია, მიუღებელია კონსტიტუციის გადასინჯვის აბსოლუტური აკრძალვა, თუმცა საინტერესო იქნებოდა ე.წ. „მუდმივი ნორმების“, „მუდმივობის გარანტიების“ არსებობა, რომელიც უნდა შეეხებოდეს კონსტიტუციის ისეთ უმნიშვნელოვანეს დებულებებს, როგორც არის სუვერენიტეტი, სამართლებრივი სახელმწიფო, სოციალური სახელმწიფო და სხვ. ამასთან, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის გამოსაღებ, რეალურ და ეფექტურ მოდელზე არის საუბარი, მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ „არ არსებობს კონსტიტუციის ცვლილებების საერთო ევროპული, საუკეთესო მოდელი“, შესაბამისად, სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა არის კონსტიტუციის მოქნილობასა და სიმყარეს შორის სათანადო ბალანსის დადგენა.

კონსტიტუციური წესრიგი არის მომავლისკენ მიმართული და, შესაბამისად, ცვლილებებისადმი არ უნდა იყოს ჩაკეტილი, პირიქით, დემოკრატიულ ტრანსფერზე მყოფი სახელმწიფო მუდმივად განიცდის ერთგვარ გარდაქმნას, ტრანსფორმაციას, შესაბამისად, სახელმწიფოს უზენაესი კანონი ფეხს უნდა უწყობდეს თანამედროვე ტენდენციებს, უნდა იყოს დინამიურობის ინსპირატორიც, თუმცა, ამავდროულად, კონსტიტუცია უნდა იყოს „მუდმივობის გარანტი“, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ე.წ. „მუდმივი ნორმების“ არსებობა, რომელიც არ უნდა განიცდიდეს სახეცვლილებას, არამედ აღნიშნულმა დებულებებმა, მისი სწორად ფორმულირების შემთხვევაში, უნდა გაუძლოს დროსა და სივრცეებს. აგრეთვე, შემაყოვნებელი მექანიზმების სახით საკონსტიტუციო სასამართლოს როლი უნდა გაძლიერდეს. ამასთან, ნორმებში ჩადებული აზრი არ უნდა იცვლებოდეს იმდენად, რომ საზოგადოებისთვის რთული გახდეს ცვლილებებისადმი თვალის მიღწევა, მისი არსის სწორად აღქმა და გაგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995;
2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 09/11/2009;
3. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 28/06/2012;
4. საბერძნეთის კონსტიტუცია, 09/06/1975;
5. ლუქსემბურგის კონსტიტუცია, 17/10/1868;
6. ნიდერლანდების კონსტიტუცია, 24/08/1815;
7. სომხეთის კონსტიტუცია, 06/12/2015.

ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურა

8. ავტორთა კოლექტივი, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.
9. გეგენავა დ., ქართული კონსტიტუციონალიზმის იდეაფიქსები, ანუ როცა „ცვლილებების ქარი“ უბერავს, ავთანდილ დემეტრაშვილი 75, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2017.
10. დემეტრაშვილი ა., დემეტრაშვილი ს., კონსტიტუციური სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020.
11. ზედელაშვილი დ., კონსტიტუციის გადასინჯვა საქართველოში: უმრავლესობების ვნებები და კონსტიტუციური წესრიგი, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
12. კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, პირველი გამოცემა, თბილისი, 2019.
13. ლუაშვილი გ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმის და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2018.
14. მენაბდე ვ., საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვა – რა უზრუნველყოფს უზენაესი კანონის ლეგიტიმურობას, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, სტატიების კრებული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
15. პაქტე პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.
16. შვარცი ჰ., კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, №1, 2009.
17. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2003.

უცხოენოვანი ლიტერატურა

18. Elster J., Forces and Mechanisms in the Constitution-Making Process, Duke Law Journal, Vol. 45, №2, 1995.
19. Elster J., Ways of Constitution-making in: Democracy's Victory and Crisis, ed. Axel Hadenius, Cambridge University Press, 1997.
20. Kelsen H., Introduction to the Problems of Legal Theory: A Translation of the First Edition of the Reine Rechtslehre or Pure Theory of Law, 1992.
21. Sajo A., Limiting Government, An introduction to Constitutionalism, Foreword by Stephen Holmes, Central European University Press, 1999.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის №2/2/486 განჩინება საქმეზე, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეების ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოლურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინაშე“.

ვენეციის კომისიის დასკვნა

24. ვენეციის კომისია, დასკვნა კონსტიტუციის გადასინჯვაზე, სტრასბურგი, 2009 წლის 4 დეკემბერი.

ელექტრონული წყარო

25. Manin B., On Legitimacy and Political Deliberation, Institute for Advanced Study (Pinceton), Translated from the French by Elly Stein and Jane Mansbridge, Sage Journals, Volume 15, Issue 3, 2016, ob., <https://bit.ly/3QBTUos>.